ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7054851

ნომერი: AR11038350

თარიღი : 27.05.2024

გაცემის თარიღი : 30.05.2024

გაცნობის თარიღი : 31.05.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, N 52;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ღურწკაია პ/ნ 62006008576
- გალი ს. აჩიგვარა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ინტერაქტიული რუკა: ნაცვლად მთლიანად მიწის ნაკვეთისა (151117 კვ.მ) განსაზვრული უნდა იყოს სარეკონსტრუქციო ნაგებობის საპროექტო ტრაექტორია (ან წარმოდგენილი იქნას ახალი განცხადება, სადაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები: ველში წარმოსადგენია არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები პანორამული ხედებით (აღნიშნულის ნაცვლად წარმოდგენილია აეროფოტოგადაღება);
3. ფოტომონტაჟი: ველში წარმოსადგენია პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს საპროექტო ნაგებობის ჭრილებს, გეგმაზე კი ასევე აისახოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სხვა ხაზობრივი ნაგებობები (შესაბამისი საკადასტრო კოდებით) და მათი არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი თანხმობები (შეთანხმებული სქემა). დოკუმენტი დამოწმებული/ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ. გეგმაზე თვალსაჩინოდ უნდა იყოს (სხვადასხვა ფერში) ასახული არსებული და განცხადებით მოთხოვნილი (საპროექტო) ტრაექტორია და აღნიშნული ტრაექტორიის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა/შეთანხმებული სქემა, სადაც გათვალისწინებულია სამუშაოები. მიწისზედა სამუშაოების ან/და საყრდენი ბოძის შემთხვევაში დამატებით ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას ფოტომონტაჟი (მასალისა და ფერების მითითებით);
4. წარმოსადგენია არსებული ხაზობრივი ნაგებობის (რომლის რეკონსტრუქციაც მოთხოვნილია განცხადებით) საკუთრებისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად არსებული/რეგისტრირებული მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობით;

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.